თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 3 აგვისტო
მორიგი სხდომის
ოქმი № 11

ქ. თერჯოლა 3 აგვისტო 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. დავით ცხადაძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. მერაბი ბასილაძე, 25. როლანდი მესხი, 26. ივანე ჩუბინიძე, 27. ტარიელ ფანჩულიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. რუსუდან კოვზირიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13⁰⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდლებში ასახული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282220747, 26.07.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282219355, 12.07.2022 წ.);

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282221054, 29.07.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის №12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქლაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2822208189, 27.07. 2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2822208189, 27.07. 2022 წ.).

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა , საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის დაფინანსება გაიზარდა 261.0 ათასი ლარით. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე შევიდა ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2022 წლის 14 ივლისის N№28.28221951 ბრძანებით.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზრდება - 261.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 26053.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 18.4 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 279.4 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 18.4 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა. სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 18.4 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობის დაფინანსება გაიზარდა 279.4 ათასი ლარით. სოფ. სარბევში გზის 400 მეტრიანი მონაკვეთის მოწყობა ბეტონის საფარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდლებში ასახული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაციის განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29222152, 03.08.2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზაციო ობიექტი - სოფელ ძევრში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების 114 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მერია თანახმაა ქონების პრივატიზება განხორციელდეს უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმთ (ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განისაზღვრა 2200 ლარით).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29222151 , 03.08. 2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის №12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 17 ივნისის № GOV 7 22 00019610 სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დადგენილებით წარმოდგენილი საკითხის დარეგულირება ამ ეტაპზე სცილდება საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებს. ასევე სასმელი წყლისა და წყალანირებით მომსახურებას უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ლიცენზიატი. საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური , როგორც ტექნიკური წყლის მიმწოდებელი, წყალმომარაგების ლიცენზიატი ვერ გახდება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის №12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №14, 03.08.2022 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 40 000(ორმოცი ათასი) ლარი, რამდენჯერმე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, მაგრამ არცერთჯერ არ შედგა. მხოლოდ ერთხელ და ერთი თვით მოხერხდა გამარტივებული შესყიდვით ფარმაცევტული კომპანია ,,გეფა''-სთან 5000(ხუთი ათასი) ლარიანი ხელშეკრულების გაფორმება დღეისთვის გახარჯულია მხოლოდ 5000 ლარი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დარჩენილი თანხა გადავიტანოთ სურსათით დახმარების პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქლაქებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2922153 , 03.08. 2022 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის

ბიუჯეტია 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარი , დღეისათვის გახარჯულია 43665 (ორმოცდასამი ათას ექვსას სამოცდახუთი) ლარი. გაზრდილი მომართვიანობის და პროგრამის წლის ბოლომდე ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარით (მედიკამენტებისთ დახმარების პროგრამიდან) და გახდეს 85 000(ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ '' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29-292201413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29222154 , 03.08. 2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი